პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

პარასკევი
21 ივლისი
1939 წ.
№ 165 (5565)
ფასი 10 კაპ.

გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

გუშინ, 20 ივლისს, დავის პირველ სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ერთხმად დაამტკიცა სესიის დღის წესრიგი.

ამავე სხდომაზე სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. სესიამ მოისმინა აგრეთვე საბიუჯეტო კომისიის წევრის ამხ. ა. ჯორბენაძის თანამოხსენება.



საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

20 ივლისს, საღამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ი. კოხლამაზაშვილმა.** იგი აძლევნებს სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხების სიას.

დეპუტატი **მ. ბარამია** წინადადებას იძლევა განსახილველად წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში.

სესია ერთხმად ამტკიცებს შემდეგს დღის წესრიგს:

1. საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება. შემოაქვს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები. შემოტანილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-120 მუხლის თანახმად.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ. შემოაქვს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. მუხ. 77, 86, 87, 88 შეცვლისა და დამატების შესახებ და მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **კ. ციმაკურიძე.**

თავის მოხსენების შესავალი ნაწილი ამხ. **კ. ციმაკურიძემ** უძღვნა სოციალიზმის დიადი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს მოხსენებელი,—არის მესამე სტალინური ხუთწლედი მოქმედებაში.

ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მშრომელი დარაზმა იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად, რომელიც მოითხოვს: ეკონომიური მხრითაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ბეჭი განსაზღვრავს ჩვენი ბიუჯეტის შინაარსს. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისა, აგებულია მესამე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და დიდი **სტალინის** მითითებების სრული შესაბამისობით. გელადის სახელის ხსენება დარბაზში იწვევს მძაფრ ტაშს, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა დეპუტატი ფეხზე დგება. გაისმის მისალმების შეძახილები: „ვაშა!", „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**"

დარბაზში კვლავ მძაფრ ტაში გრიალებს, როცა მოხსენებელი ლაპარაკობს ორდენოსანი საქართველოს წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია ქართველი ხალხის ერთგული შვილის, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. ბერიას** უშუალო ხელძღვანელობით.

ამხ. ციმაკურიძის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება —მოხსენებელი საბიუჯეტო კომისიის წევრი დეპუტატი **ა. ჯორბენაძე.**

ამის შემდეგ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პირველი სხდომა დაიხურა.

სესიის მეორე სხდომა შესდგება 21 ივლისს დილის 11 საათზე. (საქდესი).

საქართველოს პავილიონი შეფასებულია ფრიადზე

მოსკოვი, 20 ივლისი **(ბილდაპარატით ჩვენი ხაკ. კორ.).** მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ბენედიქტოვის თავმჯდომარეობით და აკადემიკოს ლისენკოს მონაწილეობით მიიღო საქართველოს პავილიონი ფრიადზე შეფასებით. კომისიამ აღნიშნა, რომ პავილიონი ერთერთი საუკეთესოა. კომისიამ გადაწყვიტა დაჯილდოს მშენებელთა კოლექტივი. დღეს პავილიონი ინახულეს გამოფენის დასათვალიერებლად მოსულებმა ამხ. ჟდანოვმა, ანდრეევმა, მალენკოვმა.

ბოლშევიზმის უძვირფასესი განძი

დიდი სტალინის ღირსეულმა თანამებრძოლმა — ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ** ოთხი წლის წინათ თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე გაკეთებული მოხსენებით — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის — უძვირფასესი განძი შეჰმატა ბოლშევიზმის მატიანეს. აქტივისტთა ორიათასიანი კრების ტრიბუნიდან მან სტალინური სიღრმით გადაშალა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული წარსულის საუცხოო სურათი.

ეს იყო ცოცხალი თხრობა პოლიტიკური ბრძოლების იმ დიდ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა ხალხთა საყვარელი ბელადი — ამხანაგი **სტალინი.**

ეს იყო მოელვარე შუქურა, რომელმაც ნათელი მოჰფინა ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ბოლშევიზმის განვითარების იმ ადრინდელ პერიოდს, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია დიდი **სტალინის** სახელთან.

ეს იყო პირველი უაღრესად სერიოზული ნაბიჯი ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების განვითარების ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე დაყენებისათვის. ეს იყო ღრმა მეცნიერული ნაშრომი, რომელმაც სისწორით გააშუქა, თუ როგორ შეურიგებლად იბრძოდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები დიდი **სტალინის** მეთაურობით სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ და როგორ ჰქმნიდა ამხანაგი სტალინი პირველ მარქსისტულ წრეებს, როგორ ამზადებდა მუშათა მასობრივ პოლიტიკურ დემონსტრაციებს, როგორ აკავებდა მტრებთან ბრძოლებში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და ამ პოლიტიკურ ბრძოლებში როგორ ყალიბდებოდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ორგანიზატორი და თეორეტიკოსი დიდი ლენინის საქმის საუკეთესო განმგრძობად, ლენინის პარტიის ბელადად.

ჩვენს წინაშე გადაიშლება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების გმირული ბრძოლების ისტორიული ეპიზოდები, წარუშლელი სურათები იმ გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაციებისა, რომლებიც ეწყობოდა ამხანაგ სტალინის მეთაურობით, და ამავე დროს უაღრესად მდიდარი მასალები ამხანაგ სტალინის დიდი თეორეტიული მუშაობის შესახებ.

დაუვიწყარია ისტორიული ადგილები თბილისში, ჭიათურაში, ბაქოში და სხვ., სადაც ამხანაგი სტალინი მუშათა მოძრაობის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე დაუნდობლად ანადგურებდა სოციალიზმის მტრებს და რაზმავდა მუშათა და გლეხთა მასებს ცარიზმის დასამხობად.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკებმა ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მეთაურობით შეძლეს ნამდვილ მეცნიერულ რელსებზე დაეყენებინათ ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის გმირული წარსულის შესწავლა. დაგროვილია და მეცნიერულად დამუშავებულია უაღრესად მდიდარი მასალები, რომლებიც გვაცნობენ დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დაწყებული მისი სიჭაბუკის წლებიდან.

ამ მხრივ ფასდაუდებელი მუშაობა ჩაატარა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა, რომელმაც ისტორიული მასალების დამუშავებასთან ერთად აღადგინა ის ადგილები, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამხანაგი **სტალინი.** რესტავრირებულია ბოლშევიკური არალეგალური სტამბები, სადაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთები და სტალინური პროკლამაციები, ადგილები, სადაც ეწყობოდა პირველი ფარული კრებები, ადგილები, სადაც ტარდებოდა მუშათა დემონსტრაციები, ადგილები, სადაც ამხანაგი **სტალინი** დაუნდობლად ანადგურებდა მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტებს. შეგროვილია ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი უამრავი პროკლამაციები, რომლებსაც შეჭქონდათ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები.

თბილისში, ბაქოში, ბათუმში, გორში და სხვ. მოეწყო დოკუმენტების გამოფენები, მიძღვნილი ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. ეს გამოფენები წარმოადგენენ ბოლშევიკური პროპაგანდის შესანიშნავ კერებს.

ამხანაგ ბერიას ისტორიული მოხსენება გადაიქცა კულტურისა და ხელოვნების მუშაკთათვის შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ. ისტორიულ თემებზე დაიწერა ახალი ქართული პიესები, ამ ისტორიულ თემებზე შეიქმნა ახალი ფილმები, ამ თემებზე შეჰქმნეს საქართველოს ყალიბის ოსტატებმაც საუცხოო მხატვრული ტილოები.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ნაშრომით შთაგონებულმა ორდენოსანმა დრამატურგმა შ. დადიანმა შეჰქმნა მეტად მაღალხარისხოვანი დრამატურგიული ნაწარმოები „ნაპერწკლიდან", რომელშიაც მოცემულია დიდი ბელადების გამოკვეთილი სახეები.

ეს ნაშრომი იყო განუყრელი თანამგზავრი ორდენოსან კინორეჟისორის მიხ. ჭიაურელისა, როდესაც ის ჰქმნიდა საუცხოო კინოფილმებს.

შთაგონების ეს წყარო, რომლის სათავეები ჩვენი პარტიის სახელოვან წარსულშია, დიაღაც რომ დაუშრეტელია. ორდენოსანი საქართველოს მხატვრული სიტყვის ოსტატები — პოეტები, დრამატურგები, პროზაიკოსები, კომპოზიტორები, ფერწერის ოსტატები ახლაც უდიდესი სიყვარულით მუშაობენ ჩვენი პარტიის აღმაფრენ და წარმტაც წარსულის თემებზე.

საქართველოს ბოლშევიკების ორგანიზაცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა **სტალინმა** და რომელიც სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე გამოაწრთო ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ,** პარტიის ისტორიის უბადლო სახელმძღვანელოს და ამხანაგ ბერიას ფასდაუდებელი ნაშრომის მომარჯვებით კიდევ უფრო ამაღლებს თავისი რიგების იდეურ-პოლიტიკურ შეიარაღებულობას, უკეთესად მოაწყობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, უფრო მტკიცედ გამოაწრთობს თავის კადრებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ნითელდროშოვანი ბალტიკის გემების დიდი ლაშქრობა

ამხანაგი ჟდანოვი და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ამხ. კუზნეცოვი საფრაგმანო გემზე

ლენინგრადი, 19 ივლისი (საკ-დესი). 14 ივლისის მზიანი დილაა. დილიდანვე კრონშტადტის დიდ რეიდზე შესამჩნევი გამოცოცხლებაა. ბოგირებზე ყოველ წამს ჩნდება მესიგნალეთა წითელი ალმები. 16 საათზე სახაზო გემის „ოქტომბრის რევოლუციის" კიჩოსთან მივიდა კატარღა. გემბანზე ადიან მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. ჟდანოვი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. კუზნეცოვი, ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის სარდალი, მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. ტრიბუცი, ბალტიის ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი, დივიზიის კომისარი ამხ. მოროზოვი, ბალტიის ფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსი, ბრიგადის კომისარი ამხ. ბელსკი და სხვ.

ჰგუგუნებს „ინტერნაციონალი". ამხ. ჟდანოვი იღებს სარდლობის პატაკს და მიესალმება გემის პირად შემადგენლობას. დიდხანს ჰგრიალებს საპასუხო წითელფლოტური „გამარჯობა".

მთავარ ანძაზე ჰფრიალებს სახალხო კომისრის ალამი. ღუზა აშვებულია. სახაზო გემი დასავლეთისაკენ მიემართება. წითელდროშოვანი ბალტიკის გემების დიდი ლაშქრობა დაიწყო.

გემები სალაშქრო წყობით მიდიან. საფლაგმანო გემსა და მის მიმყოლს სახაზო გემს „მარატს" სადარაჯო გემები ახლავთ. მძლავრი ესკადრა დიდ სამკუთხედად იშლება.

საღამოს შებინდებისას „მარატი" გამოდის წინ და ფლაგმანის სიგნალის მიხედვით ესვრის ფარს, რომელიც ბინოკლითაც ძლივს მოსჩანს პირველი ბათქი. კვამლის ღრუბელი ადის მარჯვენა ქიმზე. გადის რამდენიმე წამი და ფართან აღიმართება წყლის მაღალი სვეტები: „ჩანგალი!" მეორე ბათქი—მოსახვედრი. „მარატი" სწრაფად შებრუნდა და ბათქით ესროლა კიჩოს კომპიდან. სამიზნეს ჰფარავს წყლის კედელი, რომელიც ყუმბარის აფეთქებით გაჩნდა. საფლაგმანო გემზე მყოფნი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს „მარატის" არტილერისტების სროლას. თვითეულ ბათქს მოწონების შეძახილებით ხვდებიან. „ოქტომბრის რევოლუციაზე" მყოფნი სათანადოდ აფასებენ თავიანთი ამხანაგების ოსტატობას. ამა წამოსჩაროს ცხვირი მტერმა! იგი გაიგებს წითელდროშოვანი ბალტიკის არტილერისტთა სროლის მთელ ძალასა და სიმარჯვეს.

ესკადრა განუხრელად მიიწევს დასავლეთისაკენ. ერთ ვარჯიშს მეორე სცვლის. ევოლუცია, გემების ადგილგადანაცვლება, საბრძოლო და საჰაერო განგაში ერთმანეთს მოსდევს. თვითეულ გემს საბრძოლო მოქმედების თავისი პროგრამა აქვს. განსაკუთრებული სიზუსტით მუშაობს პირადი შემადგენლობა. სწრაფად სრულდება სარდლობის ბრძანება. ზუსტად მოქმედებს ურთულესი მექანიზმები და ხელსაწყოები.

ლაშქრობის დღეებში გემებზე დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და სწავლა მიმდინარეობდა. პოლიტხელები ჰმართავდნენ საუბარს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, განმარტავდნენ ლაშქრობის ამოცანებს. ფართო გაქანება მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას. წითელფლოტელთა და მეთაურთა ძირითადი ვალდებულებაა ჩინებულად ჩაატარონ ლაშქრობა. ლაშქრობის დროს „ოქტომბრის რევოლუციაზე" 15 წითელფლოტელმა და უმცროსმა მეთაურმა შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, 12-მა—კომკავშირში შესვლის შესახებ.

15 ივლისს ღამით შემოუარეს გოტლანდის კუნძულს და კრონშტადტისაკენ გაემართნენ. უკან გამობრუნებისას აგრეთვე მოაწყეს ვარჯიში და საბრძოლო განგაში მთელი სერია. წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები სიზუსტით მუშაობდნენ და სანიმუშო შეთანხმებული მოქმედება დაგეგმავნეს.

15 და 16 ივლისს ამხანაგი ჟდანოვი ხანგრძლივად ესაუბრა სახაზო გემის მეთაურთა შემადგენლობას, ზევადიანებს, ცალკეულ წითელფლოტელებს, დაათვალიერა ქვედა ერდოები, მექანიზმები, ინახულა გემის საბრძოლო კოშკი.

...სულ უფრომდაუფრო ახლოვდება მშობლიური მიწა-წყლის ნაპირები. ჰორიზონტზე მოსჩანს ქალაქი-სიმაგრე—კრონშტადტი. გემები ღუზაზე დგებიან. „ოქტომბრის რევოლუციის" კიჩის გემბანზე იკრიბება გემის მთელი პირადი შემადგენლობა. სახაზო გემის სამხედრო კომისარი პოლკის კომისარი ამხ. ზერევი ხსნის ლაშქრობის დამთავრებისადმი მიძღვნილ მიტინგს. პირველი გამოდის სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ამხ. კუზნეცოვი. იგი ლაპარაკობს წითელდროშოვანი ბალტიის ზღვის ფლოტის წარმატებათა შესახებ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში. ახალი საბრძოლო ამოცანების შესახებ, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე სდგას. დასასრულ ამხ. კუზნეცოვი დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, დიდ **სტალინს.** წითელფლოტელები უპასუხებენ „ვაშას" მძლავრი შეძახილებით. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**", „გაუმარჯოს მის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ **ჟდანოვს!**"

ამხ. ჟდანოვი ლაპარაკობს ისეთი მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის შესახებ, რაც დიად სოციალისტურ საზღვაო სახელმწიფოს შეეფერება.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა პოლკის კომისარი ამხ. ზერევი. მან განაცხადა, რომ წითელდროშოვანი ბალტიის ზღვის ფლოტის მებრძოლები, წმინდად იცავენ რა საბრძოლო რევოლუციურ ტრადიციებს, მომავალშიც ბოლომდე ერთგულნი დარჩებიან ლენინ-სტალინის საქმისა. ისევ ჰგუგუნებს „ინტერნაციონალი". შორს, ზღვის სივრცეებზე ჰგრიალებს წითელფლოტელთა „ვაშა". ლაშქრობა დამთავრებულია. ამხ. ჟდანოვი და ამხ. კუზნეცოვი სტოვებენ სახაზო საფლაგმანო გემს. შემდეგ ამხ. ჟდანოვმა და ამხ. კუზნეცოვმა ინახულეს სახაზო გემი „მარატი" და კრეისერი „კიროვი".

O

16 საათზე დასვენების ბაღში (ყოფილი პეტროვის პარკი) ლაშქრობაში მონაწილე გემების პირადი შემადგენლობა შეეკრიბა მიტინგზე. მიტინგი გახსნა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრმა, დივიზიის კომისარმა ამხ. მოროზოვმა.

სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა ამხ. კუზნეცოვმა. მან აღნიშნა წითელფლოტელთა და მეთაურთა საუცხოო მუშაობა ლაშქრობის დროს და წითელდროშოვანი ბალტიის ზღვის ფლოტის პირადი შემადგენლობის წინაშე დასახა მთელი რიგი ამოცანები.

წითელფლოტელები და მეთაურები მხურვალე ოვაციით შეხვდნენ ამხ. ა. ა. ჟდანოვს, რომელმაც ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე. ბელადისა და სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორის ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი საბოლოო სიტყვები კვლავ ოვაციებს იწვევს.

შორს ისმის წითელფლოტელთა მძლავრი „ვაშა" ყველა მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის, საყვარელი **სტალინის** პატივსაცემად.

უფრო მეჯი ენერგიით დავეუღლოთ საბრძოლო და პოლიტიკურ მზადებას

საუბარი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარ ამხ. კუზნეცოვთან.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ლაშქრობამ, რომელშიც მონაწილეობდა ნახევარ ასეულზე მეტი გემი,—განაცხადა საუბარში საკდესის კორესპონდენტთან სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახკომმა ამხ. კუზნეცოვმა, — ერთხელ კიდევ გვაჩვენა, რომ ჩვენ გვყავს შესანიშნავი, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგული პირადი შემადგენლობა წითელფლოტელებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისა, მაღალი საბრძოლო სულისკვეთების პირადი შემადგენლობა, რომელიც მზად არის, თუ საჭირო იქნება, დაიცვას ჩვენი სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

სამდღიანი ლაშქრობის განმავლობაში და სხვადასხვანაირი მანევრირების დროს გემებმა გვიჩვენეს, რომ ისინი ცუდად როდი არიან შეწყობილნი. ყველა გემზე შეუჩერებლივ მუშაობდა მექანიზმები. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. თუ ამას არ დაიცავწყებენ ბალტიელები, თუ ისინი კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ საბრძოლო მომზადების სრულყოფისა და სამსახურის ორგანიზებისათვის, მაშინ ისინი შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ ამოცანებს.

დასასრულ ამხ. კუზნეცოვმა გამოსთქვა რწმენა, რომ ჩვენი ძთაკომანდირობის, ჩვენი პარტიისა და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით წითელდროშოვანი ბალტიის ზღვის ფლოტის წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები ახალ-ახალ წარმატებებს მოიპოვებენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

19 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

სანიმუშო სტახანოვური მუშაობისათვის, თევზჭერის ტექნიკის წარმატებითი ათვისებისა და თევზის დამუშავების საქმეში მაღალი მაჩვენებლებისათვის ჯილდო ეძლევა თევზის მრეწველობის მუშაკთა დიდ ჯგუფს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. პ. ს. ჟემჩუჟინას მეთაურობით.

ორდენებსა და მედლებს იღებენ რეფრიჟერატორის „კომსომოლეც არქტიკის" კაპიტანი ამხ. დ. ა. ბურკოვი, თევზის საჭერი გემის „საზანის" კაპიტანი ამხ. ვ. ა. ეგოროვი, ვოლგა-კასპიის სახელმწიფო თევზტრესტის თევზსაჭერი სეინერის 72-ის კაპიტანი ამხ. ვ. ნ. ეროფეევი, კოლომნუზანსკის სამოტორო თევზსაჭერი სადგურის დირექტორი ამხ. მ. ნ. მილკინი, თევზსაჭერი ტრაულერის „კიროვის" კაპიტანი ამხ. ა. ი. სტრელბიცკი, მოგუტინსკის თევზსაშენის წყლის გამშვები ამხ. ა. შ. ადაიევი, ასტრახანის კიროვის სახელობის გემსაშენის მჭედელი ამხ. ა. ა. ბატკაევი, ჩიგინსკის თევზსაშენის მეთევზე ამხ. პ. კ. კოვტუნენკო, ასტრახნის სტალინის სახელობის მეთევზეთა კავშირის კოლმეურნეობის მეთევზე ამხ. ა. ი. სანაკინი, მურმანსკის თევზკომბინატის ზურგიელის საამქროს ოსტატი ამხ. ვ. ი. სობოლევი და თევზის მრეწველობის სხვადასხვა დარგთა კიდევ მრავალი შესანიშნავი მუშაკი.

დაჯილდოებულთა შორის არიან სახალხო კომისრის მოადგილეები: ამხ. ა. ა. იშკოვი, ი. ა. შერედეკი, სამოტორო თევზსაჭერ სადგურთა მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ა. კ. ობუხოვი, ჩრდილოეთის აუზის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. პ. ნ. სკორნიაკოვი და თევზის მრეწველობის მთელი რიგი სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკური, მეცნიერი, საწარმოო მუშაკები და მოსამსახურეები.

დაჯილდოებულთა სახელით ილაპარაკეს ამხ. პ. ს. ჟემჩუჟინამ, მ. ნ. მილკინმა და ა. ი. სტრელბიცკიმ.

— თევზის მრეწველობის მუშაკებმა, კოლმეურნე მეთევზეებმა მთხოვეს გადმოგცეთ თქვენ, მიხეილ ივანეს-ძევ,—განაცხადა ყველა დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. ჟემჩუჟინამ, — რომ, თუ საჭირო რამ გახდა დღეს, ხვალ, ყოველ წუთს თევზის მუშაკები მთელ თავიანთ სიცოცხლეს შესწირავენ ჩვენი პარტიის საქმეს, ჩვენს სამშობლოს!

ამხანაგმა მილკინმა თავის სიტყვაში ილაპარაკა იმ დიდ მიღწევებზე, რომლებიც კოლმეურნე მეთევზეებმა მოიპოვეს და პირობა დასდო, რომ მომდინარე წლის თევზის ჭერის გეგმას ისინი მთლიანად შეასრულებენ.

იმიერ პოლარეთის სატრალერო ფლოტის წარმატებითის მუშაობაზე ილაპარაკა ტრაულერ „კიროვის" კაპიტანმა ამხ. ა. ი. სტრელბიცკიმ. თავისი სიტყვის დასასრულს მან პირობა დასდო, შეასრულოს თევზის ჭერის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის.

განსაკუთრებული წარმატებისათვის სასკოლო სწავლებისა და სოფლის სკოლებში ბავშვების საბჭოურად აღზრდის საქმეში, სასწავლო მუშაობის ჩინებული დაყენებისა და სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ჯილდო ეძლევათ ყაზახეთის სს რესპუბლიკის სასოფლო სკოლების მასწავლებლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. მათ შორის არიან კასიკის საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. ე. ესპაევი, სარკანდის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. ნ. ვ. ვოლკოვი, იანი-კურგანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. ნ. ილიალეტდინოვი, აქსუატის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ამხ. ი. კ. კუბეევი და რესპუბლიკის მრავალი სხვა საზოგადო მუშაკი-პედაგოგები. მათი სახელით ილაპარაკეს ამხ. კუბეევმა და შახმატოვამ.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. მან უსურვა თევზის მრეწველობის მუშაკებს, რაც შეიძლება უფრო კულტურულად იქნას დაყენებული თევზის სარეწაობის მუშაობა, აგრეთვე მიაღწიონ თევზის პროდუქტების საუკეთესო გადამუშავებას. ამხ. კალინინი გულმხურვალედ მიესალმა ყაზახეთის სოფლის სკოლების დაჯილდოებულ მასწავლებლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს თავიანთ პასუხსაგებ და საპატიო მუშაობაში. დასასრულ ამხ. კალინინმა დაჯილდოებულ ამხანაგებს უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობაში.

(საქდესი).

პავილიონი „ყირგიზეთი"

მიიღეს პავილიონი „ყირგიზეთი". პავილიონი ლამაზად არის გაფორმებული გობელენებით, მოჩუქურთმებული ხითა და პანოებით. ყირგიზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. რესპუბლიკას პირველი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა კავშირში ბამბის მოსავლიანობის მხრივ. მდიდრულად ცხოვრობენ მისი კოლმეურნეობები. კოლმეურნეობა „ინტერნაციონალმა" (ოშის რაიონი) შარშან მხოლოდ ბამბიდან მიიღო დაახლოებით 2 მილიონი მანეთის შემოსავალი. კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე 14 მანეთი მიეცათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პავილიონზე

ტყიბული (ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას ტყიბულის ლენინის სახელობის მაღაროს (დირექტორი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრ. გორგიძე). ქვანახშირის ამოღებას მძლავრი ალმაფლობით ხვდება. 19 ივლისს მაღაროს გამოუვიდა გარღვევიდან — ამოიღო 682 ტონა ქვანახშირი. — გეგმის 102,7 პროცენტი.

ქვანახშირის მწარმოებლებმა ალ. ბაბუხადიამ, რ. მიქაბერიძემ, მ. ღვინეფაძემ, ნ. ესაიაშვილმა და სხვებმა 19 და 20 ივლისს დღიური დავალება 200-250 პროცენტით შეასრულეს.

უბანმა, რომელსაც ინჟინერი ქალი ქ. შალიკაშვილი ხელმძღვანელობს, სესიის გახსნის წინა დღეებში ნაცვლად 195 ტონა ქვანახშირისა ყოველდღიურად 200-225 ტონა ქვანახშირი მოგვცა.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივი პირობას იძლევა, რომ მეორე სესიის პატივსაცემად ქვანახშირის ყოველდღიურ ამოღებას 750 ტონამდე აიყვანს.

დ. საბელაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პატივსაცემად

ტყიბული (ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას ტყიბულის ლენინის სახელობის მაღაროს (დირექტორი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრ. გორგიძე). ქვანახშირის ამოღებას მძლავრი ალმაფლობით ხვდება. 19 ივლისს მაღაროს გამოუვიდა გარღვევიდან — ამოიღო 682 ტონა ქვანახშირი. — გეგმის 102,7 პროცენტი.

ქვანახშირის მწარმოებლებმა ალ. ბაბუხადიამ, რ. მიქაბერიძემ, მ. ღვინეფაძემ, ნ. ესაიაშვილმა და სხვებმა 19 და 20 ივლისს დღიური დავალება 200-250 პროცენტით შეასრულეს.

უბანმა, რომელსაც ინჟინერი ქალი ქ. შალიკაშვილი ხელმძღვანელობს, სესიის გახსნის წინა დღეებში ნაცვლად 195 ტონა ქვანახშირისა ყოველდღიურად 200-225 ტონა ქვანახშირი მოგვცა.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივი პირობას იძლევა, რომ მეორე სესიის პატივსაცემად ქვანახშირის ყოველდღიურ ამოღებას 750 ტონამდე აიყვანს.

დ. საბელაშვილი

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი წარმატებებისაკენ

საბჭოთა უკრაინის მეცხოველეობის მუშაკთა თათბირის მიმართვა

საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალისადმი, მეცხოველეობის ფერმების მუშაკებისადმი — მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეღორეობისა და მეღორე ქალებისა, მწველავებისა და მწყემსებისადმი, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ყველა სპეციალისტისა და მეცნიერ მუშაკებისადმი.

ძვირფასო ამხანაგებო!

როცა აყვავებული უკრაინის ველებში მიდიხარ — გულს უხარია: კოლმეურნეობათა ყანებში მომწიფებულია საუცხოო მოსავალი. ხშირი პური ხრის სავსე თავთავს. ეს არის ჩვენი შრომა, ჩვენი სიმამაცე, ჩვენი სიხარული.

მარცვლეული, ტექნიკური კულტურებისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი, ძროხის ნახირი, ღორის კოლტი და ცხვრის ფარა,—ყოველივე ეს, ისე როგორც ფოლადი, როგორც თუჯი, — ჩვენი დოვლათია, ჩვენი ძალაა, ჩვენი დიდებაა. სოციალისტურ მინდვრებში გატაცებით და შეწყობილად მუშაობენ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, კომბაინერები და ტრაქტორისტები, იღებენ რა სტალინურ მოსავალს. ერთი სურვილით, ერთი აზრით არის ყველა გამსჭვალული: სწრაფად აიღოს მოსავალი, უდანაკარგოდ აიღოს იგი, დროულად შეასრულოს პურის ჩაბარებისა და ნატურანაზღაურების გეგმა, შემდგომი ნაბიჯი გადასდგას შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზაზე და ერთხელ კიდევ უჩვენოს მთელს მსოფლიოს საკოლმეურნეო წყობილების ძალა და ძლიერება.

ჩვენი კოლმეურნეობები იქმნებოდნენ, იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ დიად ბრძოლებში ლენინ-სტალინის პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებისათვის. ჩვენი დღევანდელი წარმატებები მოპოვებულია საკოლმეურნეო წყობილების მტრებთან, საბჭოთა ხალხის მტრებთან სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლაში. ერთსულოვანია საკოლმეურნეო ოჯახი! კოლმეურნე გლეხობა მტკიცედ სდგას სოციალისტურ გზაზე, და ვერავინ ვერასდეს ვერ ააცდენს მას ლენინურ-სტალინურ გზას, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყვებართ.

მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: არის ასეთი ანდაზა: „თითო მახნჯი ყველა ოჯახს ჰყავსო“. და ჩვენს საკოლმეურნეო ოჯახშიც აღმოჩნდნენ ცალკეული კოლმეურნეები, რომელთაც მაგრად აქვთ გამჯდარი ძველი ჩვევები და ტრადიციები, შემკვიდრეობით მიღებული წვრილი ერთპიროვნული მეურნეობისაგან. ამ ცალკეულმა კოლმეურნეებმა იწყეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა, იწყეს თავიანთი პირადი ინტერესების დაპირისპირება საერთო, საკოლმეურნეო ინტერესებისადმი. ჩვენს კოლმეურნეობებში მესაკუთრული წვრილბურჟუაზიული განწყობილებანი უცბად ბანაკიდან შემოდის. ისინი შემოაქვთ განადგურებული კულაკობის ნაშთებსა და მავნებლურ ელემენტებს.

ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ და ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად და სწორად მიიღეს გადაწყვეტილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“. პარტიამ და მთავრობამ მიგვითითეს, თუ სახელდობრ რა აფერხებს კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას და რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ყველამ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების უხეში დარღვევანი.

ყველა პატიოსანი კოლმეურნე სიხარულით შეხვდა ამ დადგენილებას. ყველამ იცის რომ: ვინც კოლმეურნეობაში პატიოსნად მუშაობს, ვინც საკოლმეურნეო მეურნეობას ამტკიცებს—იგი ამრავლებს კოლმეურნეობის სიმდიდრეს, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, იგი შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს. საკოლმეურნეო მეურნეობა თვითეული კოლმეურნის შეძლებულობისა და კეთილდღეობის საფუძველია.

საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეები მხურვალედ ესალმებიან საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და ადიდებენ დიდ სტალინს ჩვენზე, კოლმეურნეებზე მამობრივი მზრუნველობისათვის. როგორც მოსიყვარულე მამა ზრუნავს თავისი შვილებისთვის, ისე ამხანაგი სტალინი ზრუნავს ჩვენთვის. დიდი კოლმეურნული მადლობა მას!

სტალინური კანონი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ არის სტალინური ზრუნვა ჩვენი ხალხისთვის, მისი კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალურ - კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სკკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში“.

კანონი კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ მიმართულია ამ ამოცანის გადაჭრის დაჩქარებისაკენ, ამოცანისა, რომელზედაც ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა პარტიის XVIII ყრილობაზე. გავადიდებთ რა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობას კოლმეურნეობებში, ჩვენ უხვად მივცემთ ჩვენს ქვეყანას ხორცს, რძეს, კარაქს, ტყავს, მატყლს. ცხვრის სულადობის ზრდა არის ჩვენი ქვეყნის ხორცის რესურსების გადიდება; ძროხის სულადობის გადიდება საკოლმეურნეო ფერმებში არის ახალი ათასობით და ათიათასობით ტონა ხორცი, რძე, კარაქი ჩვენი საბჭოთა ხალხისათვის. ჩვენი ქვეყანა წლითი-წლობით ადიდებს ფეხსაცმლის გამოშვებას, მაგრამ ფეხსაცმელი მაინც არ არის საკმარისი, მაინც გვაკლია. წაღების, ჩექმებისა და ტყავის მრეწველობის სხვა ნაწარმის დამზადებისათვის საჭიროა ტყავი—ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. ხოლო, რათა ტყავი უხვად მოიპოვებოდეს ფეხსაცმლის წარმოებისათვის, საჭიროა ყოველნაირად განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგი ჩვენში სწრაფად ვითარდება, წინ მიდის. სხვანაირად არც შეიძლება იყოს! ჩვენი სოფლის მეურნეობა უდიდესია მსოფლიოში, იგი შეიარაღებულია ყველაზე მოწინავე, ყველაზე მძლავრი ტექნიკით. კოლმეურნეობებში წინ წავიდა საზოგადოებრივი მეცხოველეობაც. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა უკრაინის კოლმეურნეობებში გადიდდა 125,2 პროცენტით. ბევრად გაიზარდა ღორის, ცხვრისა და თხის სულადობა. კოლმეურნეობებში ორნახევარჯერ გადიდდა მეცხოველეობის ფერმების რაოდენობა.

ხალხის მტრების ძირგამომთხრელი მუშაობა რომ არა, ჩვენი წარმატებანი მეცხოველეობაში გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა. ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტები ეწეოდნენ მავნებლობას როგორც კი შეეძლოთ, რათა კოლმეურნეობებში ნაკლები პირუტყვი ყოფილიყო, რათა მაშასადამე, ნაკლები ყოფილიყო სიმდიდრე, რათა კოლმეურნის ცხოვრება გაუარესებულიყო. მაგრამ საკოლმეურნეო წყობილების ძალა უძლეველია! ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის მტრები მხილებული და განადგურებული არიან. კოლმეურნეებმა წინ წასწიეს მეცხოველეობის განვითარება და ამ საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

აზოვისპირა ველებში, დნეპისპირა მდელოებში ამჟამად საკოლმეურნეო პირუტყვის აუარაცხელი ჯოგი ბალახობს. მოწინავე კოლმეურნეობებმა გაიჩინეს ფერმები, ამრავლებენ ჯიშიან მაღალპროდუქტიულ ძროხებს, ღორებს, ცხვრებს, დიდ შემოსავალს იღებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობისაგან და ჩვენს სახელმწიფოს ამარაგებენ წმინდა მატყლით, ხორცით, რძით, კარაქითა და ტყავით. თავისი ჯოგით განთქმულია ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოს რაიონის არტელი „ისკრა“. თითო ძროხისაგან აქ 1938 წელს 4.161 ლიტრი რძე მიიღეს.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ კიევის ოლქის ბოროდიანკის რაიონის სტალინის სახელობის არტელში პატარა ფერმა იყო, მაგრამ კოლმეურნეებმა ხელი მოჰკიდეს საქმეს, გააფართოეს საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ახლა ამ კოლმეურნეობაში მარტო ძროხა 132 სულია. მერე რა ჯიშიანი ღორები ჰყავთ პოლტავის ოლქის ჩერნობაის რაიონის არტელ „ბორბაში“! საუკეთესო ადამიანები უვლიან მათ, ამიტომაც არის, რომ ნამატი კარგია—თითო დედა-ღორისაგან ყოველწლიურად 19 გოჭს იღებენ. ზაპოროჟიეს ოლქის ვასილიევის რაიონის არტელმა „მოპრმა“ გაიჩინა ცხვრები. ცხვრის ფარები ამჟამად ველად სუქდებიან. არტელმა ყოველი 100 დედა-ცხვრისაგან 154 ბატკანი და თითო ცხვრისაგან 4,4 კილოგრამი მატყლი მიიღო.

მერე რა დიდ შემოსავალს აძლევს მეცხოველეობა კოლმეურნეობებს! ჩვენში, უკრაინაში, გენჩესკის რაიონში არის სტალინის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობა, რომელსაც მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს. ამ კოლმეურნეობას ჰყავს 900 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 800 ღორი, 10 ათასი ცხვარი. შარშან კოლმეურნეობამ თავისი მეცხოველეობისაგან მიიღო 1 მილიონი 400 ათასი მანეთი შემოსავალი.

აი სხვა პატარა კოლმეურნეობა —კიევის ოლქის ბოროდიანკის რაიონის სოფელ ნებრატის კოლმეურნეობა. თავისი მეცხოველეობისაგან კოლმეურნეობამ შარშან მეოთხედი მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო.

ჩვენში, უკრაინაში გაიზარდა სოციალისტური მეცხოველეობის ოსტატთა მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამოზრდის კარგ ორგანიზატორთა, კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის წესიერად გაძღოლის მცოდნეთა უზარმაზარი არმია. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ჟიტომირის ოლქის ემილჩინოს რაიონის არტელ „კომინტერნში“ მომუშავე მწველავმა განა კოჟელევიჩმა. 1938 წელს მან 8 ძროხისაგან საშუალოდ მიიღო 4.483 ლიტრი რძე თვითეულისაგან. ჩერნიგოვის ოლქის მალაია დევიცის რაიონის შევჩენკოს სახელობის არტელში მომუშავე მწველავი მიშჩენკო ბაგაზე დაყენებული თვითეული ძროხისაგან იღებს 4.812 ლიტრ რძეს. სრებნოეს რაიონის არტელში „ოქტომბრის 14 წელი“ მომუშავე ორდენოსანი მელორე ეფროსინე ფილონენკო დედა-ღორისაგან ყოველწლიურად იღებს 26 სანაშენო გოჭს.

ასეთია მეცხოველეობის მოწინავეთა წარმატებანი. ისინი კი ჩვენ ათასობით გვყვანან. რძის მაღალი წველადობისათვის, მოზარდეულის სანომუშოდ გამოზრდისათვის, პირუტყვის მაღალი ნამატისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად უკრაინაში დამტკიცებულია საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობის 10.458 მოწინავე. მშობლიურ მოსკოვში, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე, თავის მოღწევებს უჩვენებს უკრაინის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის 3.921 ფერმა. რა დიდი პატივია ეს! და მაინც ბევრი რამ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მოთავებული. ყველა კოლმეურნეობას როდი აქვს ფერმები. ხოლო იმ კოლმეურნეობებში, სადაც ფერმები აქვთ, დიდი მუშაობაა საჭირო, რათა ისინი გააფართოონ, პირუტყვის სულადობა გაადიდონ, მისი პროდუქტიულობა გაზარდონ. ჩვენ უკრაინაში უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განსავითარებლად. ბოლშევიკური შეუპოვრობით ჩვენ ვეცდებით, რათა სულ უახლოეს მომავალში ჩვენს კოლმეურნეობებს ჰქონდეთ მეცხოველეობის ორი და სამი ფერმა. ამ ამოცანის დაძლევა ჩვენ შეგვიძლია.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ თავი მოვიყვარეთ მეცხოველეობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რათა განვიხილოთ, თუ უფრო სწრაფად როგორ დავძრათ წინ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და როგორ შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

შევაჯამეთ ჩვენ მიერ გაკეთებული და ვხედავთ: რამდენი ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობა გვაქვს. კოლმეურნეობებში მიწა ჭარბადაა. სათიბები და საძოვრები ათასეულ ჰექტარობითაა გადაჭიმული. არიან ნიჭიერი და მცოდნე ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ წინ წასწიონ საქმე. სახელმწიფომ შეჰქმნა მაღალპროდუქტიული პირუტყვის სანჯიშეები, რომლებიც კოლმეურნეობებს სანჯიშე რჩეული მასალით ამარაგებენ. თვით კოლმეურნეობებში ბლომად არის წმინდა ჯიშის პირუტყვი.

რატომ არის, რომ ბევრ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ შეუქმნია ფერმები ან პატარა, ჩია, ზოგჯერ კი პირდაპირ „სამოზვრო“ ფერმები შეუქმნია? რატომ არის, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ თითო ფერმა აქვთ? რატომ არის, რომ ჩვენს ფერმებში ჯერ კიდევ ბევრი უჯიშო პირუტყვია?

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში ყველაფერი ნათელია, იქ ყველაფერი სწორია. პარტიისა და მთავრობის დადგენილების ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა თვით ცხოვრებიდან არის აღებული და გამსჭვალულია სტალინური ზრუნვით ჩვენი კოლმეურნეობების შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის.

ავიღოთ თუნდაც ბორცის სავალდებულო ჩაბარების ძველი სისტემის შეცვლა ახალი სისტემით. ხომ ასე იყო: რაც უფრო მეტი იყო საზოგადოებრივი მეცხოველეობის ჯოგი კოლმეურნეობებში, მით უფრო მეტი ვალდებულებები ეკისრებოდა მას ხორცის ჩაბარების დარგში. იმ კოლმეურნეობებს კი, რომელთაც კარგი ფერმები არ ჰქონდათ, კოლმეურნეობებს, რომელნიც საზოგადოებრივ მეცხოველეობას ამცირებდნენ, თუმცა მიწები მათ უხვად აქვთ, ნაკლები ვალდებულებები ეკისრებოდათ ხორცის ჩაბარების დარგში. და გამოდის, რომ კარგი, ბოლშევიკური კოლმეურნეობა, რომელიც ზრუნავდა საზოგადოებრივი ჯოგის ზრდისათვის, ხორცს აბარებდა იმ კოლმეურნეობის მაგივრად, რომელსაც არ სურდა განევითარებინა მეცხოველეობა.

ჩვენში, კიევის ოლქის ბარიშევკის რაიონში არის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობა, ხოლო იმავე ოლქის მირონოვკის რაიონში—კოლმეურნეობა „სოც. პერემოგა“. მიწები მათ თითქმის თანაბარი აქვთ: შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობას აქვს 308 ჰექტარი, ხოლო „სოც. პერემოგას“—286 ჰექტარი. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს 7 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორები კი სულაც არა ჰყავს. კოლმეურნეობა „სოც. პერემოგას“ ჰყავს 29 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 117 ღორი.

შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობა აბარებს მხოლოდ ერთ ცენტნერ ხორცს წელიწადში, კოლმეურნეობა „სოც. პერემოგა“ კი—41,8 ცენტნერს. განა ეს სამართლიანია? განა ცხადი არ არის, რომ კოლმეურნეობა „სოც. პერემოგა“ ვალდებულებას ასრულებს შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მაგივრად?

ძალიან სწორად მოიქცნენ საბჭოთა მთავრობა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომ შემოიღეს ახალი სისტემა ხორცის ჩაბარებისა—არა პირუტყვის სულადობის რაოდენობის მიხედვით, არამედ იმ სახელმწიფო მიწის რაოდენობით, რომლითაც კოლმეურნეობა სარგებლობს. იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის არ ზრუნავდნენ, ეს აიძულებს გაიჩინონ მეცხოველეობის ფერმები. შეხედავ ზოგ კოლმეურნეობას: მიწა ათას ჰექტარზე მეტი აქვს, ფერმა კი 2-3 ძროხა ჰყავს, ანდა ფერმა სულაც არა აქვს. ასეთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ხშირად იკვეხნიან, რომ შრომადღეში ნატურით ისინი უფრო მეტს იძლევიან. რა ფასი აქვს ასეთ ტრაბახს. ეს ხელმძღვანელები ივიწყებენ საერთო - სახელმწიფოებრივ ინტერესებს და, როგორც სჩანს, თვითონაც არ ესმით და კოლმეურნეებსაც არ განუმარტავენ, რომ ზედმეტ კილოგრამ მარცვალს, რომელსაც იგი მეცხოველეობის ფერმაში დაიხარჯება, კოლმეურნისათვის გაცილებით უფრო მეტი მოსავალი მოაქვს, ვიდრე ეს კილოგრამი მარცვალი ღორს.

არის კიდევ ისეთი ფერმები, რომლებიც კოლმეურნეებისათვის ბოზარდეულის მიწოდების თავისებურ პუნქტებად იქცევიან. ეს სწორი არ არის! ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ პირუტყვის სულადობის გადიდებას მეცხოველეობის ფერმებში, ვინაიდან უხდა გვახსოვდეს, რომ ეს არის მეცხოველეობის განვითარების მთავარი გზა.

ჩვენ, რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, საბჭოთა უკრაინის სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკნი, მოვუწოდებთ ყველა კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს, ფერმების მუშაკებს — მესაქონლეებს, მეჯინიბეებს, მეღორეებს, მწველავებს, მწყემსებს, სპეციალისტებსა და მეცნიერ მუშაკებს ხელი მოჰკიდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. თვით ჩვენ, შინ დაბრუნებისას, ახალი ძალღონით შევუდგებით მუშაობას, რათა მოვაწყოთ შეჯიბრება ფერმისა ფერმასთან, კოლმეურნეობისა კოლმეურნეობასთან, რაიონისა რაიონთან იმისათვის, რომ საზოგადოებრივ საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების გეგმა, რაც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს, ვადამდე შესრულდეს. აქეთკენ მოგიწოდებთ თქვენც.

სამუშაო უამრავია! ბევრი რამ არის ისეთი, რაც უნდა გაკეთდეს. არ შეიძლება მეცხოველეობის წინ წაწევა ისე, თუ არ შეიქმნა საკვების მძლავრი ბაზა. ხოლო რა ხდება ჩვენს მდელოებში და საძოვრებზე? მდელოები და სათიბები ბალახის ძალიან მცირე მოსავალს იძლევა. ჯერ კიდევ მცირეა სამყურას, იოხჯის, ნარეცა ცერცველას, ტიმოთელას, სუდანურას მოსავალი. და ეს არა იმიტომ, რომ მიწა ცუდია ან მდელოები ნაყოფიერი არ არის. მათ ცუდად ვპატრონობთ, ცუდად ვუვლით და ამიტომ მოსავალი მცირეა.

ჩვენ არ გვქონდა თივის ასაღები მანქანების საჭირო რაოდენობა. საბჭოთა მთავრობამ და პარტიამ ამისთვისაც იზრუნეს. დიდი სათიბი მასივების მქონე რაიონებში იქმნება მანქანით მთიბავთა რაზმები. მკვეთრად მატულობს ქარძრავთა, ჩალამჭრელთა, ფესვმჭრელთა, კოპტონმღერელავთა, საკვებდამაორთქლიანებელთა გამოშვება. გამოდის, რომ საქმე ახლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

ჩვენს ფერმებში რომ ბევრი ძროხა, ღორი, ცხვარი იყოს, უკვე ახლავე უნდა დავიწყოთ ზამთრისათვის მზადება. თუ ზამთარში პირუტყვი თბილად იქნება დაბინავებული, თუ მას უხვად ექნება ნოყიერი საკვები, მაშინ ის მაღალ ნამატს მოგვცემს, მაშინ ხორცი, ქარაქი, მატყლი ბლომად გვექნება. ვინც ზაფხულს უდარდელად გაატარებს, ასეთ მეურნეებს ფერმებში არაფერი გამოუვათ. მზრუნველ მეურნეებს ყველაფერი წინდაწინ მოფიქრებული აქვთ.

მოდით, წინდაწინ დავამზადოთ პირუტყვის სადგომები. იქ, სადაც საჭიროა აგება—ავაგოთ, სადაც საჭიროა შეკეთება—შევაკეთოთ, ისე, რომ მოგვიანო შემოდგომისათვის არაფერი გადავდოთ. მეტი სამეურნეო ინიციატივა გამოვიჩინოთ საკვები ბაზის შექმნაში. საკვები არის. არის სამყურა, არის თივა, საკმაოდ ბევრი იქნება საგაზაფხულო ნათესების ბზე, ნახორი. მაგრამ თვითდინებას ვერ დავეყრდნობით. ზუსტად უნდა გამოვიანგარიშოთ სხვადასხვა საკვების საჭიროება და დავამზადოთ. სადაც პირველი გაითბების დროს თივა დაგვაკლდა, უნდა შევავსოთ მეორე გათიბვით. და უკვე აუცილებლად უკლებლივ ყველა კოლმეურნეობაში დავამზადოთ სილოსი საჭირო რაოდენობით.

ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო! მთლიანად და ვადაზე რომ შესრულდეს კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის პირუტყვის სულადობის გადიდების გეგმა, საჭიროა შეინარჩუნოთ, გამოვზარდოთ მთელი მოზარდეული, შერმისისათვის კი არ გადავდოთ, არამედ ახლავე დავიწყოთ ხბოების შესყიდვა კოლმეურნეებისაგან და საბჭოთა მეურნეობებისაგან და საკოლმეურნეო ფერმების სულადობის შევსება ამ ხბოებით.

მეცხოველეობა სოციალისტური სასოფლო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვანი დარგია. დიდად განვითარებული მეცხოველეობის მქონე კოლმეურნეობანი ღონიერი კოლმეურნეობანი არიან. ეს გასაგებიცაა. განვითარებული მეცხოველეობა თვითონ იძლევა უდიდეს შემოსავალს და საშუალებას გვაძლევს არაჩვეულებრივად გავადიდოთ საკოლმეურნეო მიწების ნაყოფიერება.

ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, მოდით, ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის კოლმეურნეობებში.

აგვისტოში იხსნება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა — სოციალისტური სოფლის მეურნეობის ისტორიულ გამარჯვებათა დათვალიერება.

ჩვენი აყვავებული სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში — შემოდგომაზე შეიკრიბება კოლმეურნეთა ყრილობა, რომელზედაც საუკეთესო ადამიანები განიხილავენ საკოლმეურნეო საქმეებს.

ღირსეულ და სასიხარულო შეხვედრას ვუმზადებთ ჩვენ ამ დღეებს. ჩვენ გვსურს, რათა ჩვენმა საწარმოო გამარჯვებებმა ახალი საბელი შეჰმატონ კოლმეურნეობებს, ახალი სახელი შეჰმატონ ჩვენს სამშობლოს.

სსრ კავშირის პროკურატურაში

პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მთელი რიგი პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან კოლმეურნეობათა საზოგადო მიწების გახაიავებაში.

ვინიცის ოლქის კოლმეურნეობაში „ნაშა პერემოგა“ გემპლიუკმა, კრიმინიუკმა და ილინიკიმ საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის დროს უკანონოდ მიუზომეს კოლმეურნეობის საზოგადო მიწის 31 ჰექტარი.

კრიმინიუკს და გემპლიუკს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ილინიკის—2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გორკის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნი უდარნიკის“ გამგეობის თავმჯდომარემ ციგანოვმა ა. წ. 2 ივნისს გაანაწილა კოლმეურნეობის 22 ჰექტარი საყანე მიწა.

ციგანოვს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კალინინის ოლქის კოლმეურნეობა „ჭლამიას“ გამგეობის თავმჯდომარემ პავლოვმა უკანონოდ მიიზომა თვითონ და კოლმეურნეობის სხვა წევრებს მიუზომა 6.14 ჰექტარი მიწა კოლმეურნეობის ფართობიდან.

პავლოვს ერთხანევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

როგაჩევის რაიონის (ბელორუსიის სსრ) კოლმეურნეობა „ჩერვონი ბუდაუნიკის“ გამგეობის თავმჯდომარეს ნოვიცკის კოლმეურნეობის ფართობიდან 13 ჰექტარი მიწის განიავებისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთხანევარი წლით.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ტრუდოვიკის“ გამგეობის თავმჯდომარეს ბაკანოვს „ერთი გადააკვრევინეს“ და მან უკანონოდ მიუზომა საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთები შენობების დასადგმელად კოლმეურნეობის არაწევრებს გოლუბევს, ბაზანოვსა და იონოვს.

საკოლმეურნეო მიწის განიავებისათვის ბაკანოვს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გოლუბევს, ბაზანოვსა და იონოვს — თავისუფლების აღკვეთა ერთხანევარი წლით. (საკდესი).

ფიზკულტურელთა პარადის შემდეგ

მოსკოვი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). საქართველოს ფიზკულტურელები, რომლებიც გუშინ გამოვიდნენ წითელ მოედანზე, გახარებულნი და აღტაცებულნი არიან. ისინი განუწყვეტლივ ლაპარაკობენ წითელ მოედანზე შემდგარ პარადზე, გუშინდელ შეხვედრაზე საყვარელ ბელადებთან. საქართველოს სპორტსმენები ამბობენ, რომ ეს დღე დაუვიწყარი იქნება მათთვის და ავალებს მათ ახალ მიღწევათა მოპოვებას.

საქართველოს ფიზკულტურელთა გუშინდელი გამოსვლის ძირითადი თემა იყო — „ამხანაგ სტალინის სამშობლოში“. საქართველოს ფიზკულტურელები გამოვიდნენ წითელ მოედანზე დეკორაციების ფონზე, რომლებზედაც გამოსახული იყო საქართველოს აყვავებული სოფლების პანორამა, მთები, კვიპაროზები, ციტრუსები. ფიზკულტურელებს მაღლა ეჭირათ გაზეთი „ბრძოლის“ მაკეტი. მოედნის ნაპირებზე დაეწყვნენ მედროშეთა ჯგუფები, ხოლო ცენტრში ეწყობოდა პირამიდები, ერთიმეორეზე რთული და ლამაზი. შემდეგ მოედანზე გამწკრივდნენ მეზრნაგური ქალები. ისინი მღეროდნენ და ამ სიმღერაზე წითელი მოედანი უცბათ გადაიქცა ჩაის პლანტაციად. ჩაის მწვანე ბუჩქებში დაიწყო ცეკვა, რომელიც გამოხატავდა ჩაის კრეფას, ამის შემდეგ მწყობრ რიგებად წინ მაკხოლეისაკენ გამოვიდნენ მამაკაცები. დაიწყო ცეკვა „ხორუმი“, რომელსაც ტრიბუნებზე მყოფნი ტაშით შეეგებნენ. ამ დროს ფიზკულტურელთა დიდი ჯგუფი განაგრძობდა თავისუფალ მოძრაობას. ამ მოძრაობის ტემპები უფრო და უფრო სწრაფი ხდებოდა და აი ამ ჯგუფის შუაგულში ჩავარდა ბურთი. ერთ წამში ყველაფერი აირია. ზოგნი ბურთს გამოეკიდნენ, უცბად შექმნილ წრეში ეცნენ ერთმანეთს მოჭიდავენი. მოძრაობა უფრო და უფრო სწრაფი ხდებოდა და შემდეგ თანდათანობით გადაიქცა წყნარ ცეკვად. გამოსვლის უკანასკნელი ეპიზოდი მიეძღვნა სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნას. სიმღერით სტალინზე, ტრიბუნების მჭუხარე ტაშით საქართველოს ფიზკულტურელებმა დასტოვეს წითელი მოედანი. „პრავდა“ დღეს სწერს: „საქართველო განთქმულია თავისი ტანმოვარჯიშეებით. გუშინ წითელ მოედანზე საქართველოს დელეგაციამ გვიჩვენა, რომ ეს სახელი სავსებით დამსახურებულია. საუკეთო ტანმოვარჯიშეებმა რუხლაძემ, ჯორჯაძემ და სხვ. ვირტუოზულად შეასრულეს რთული ფიგურები ღერძებზე“.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1939 წ. 19 ივლისი

საქართველოს სსრ 1940 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენის ვადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ უწყებებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკს წარადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში:

ა) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის დარგების განვითარების გეგმები 1940 წლისათვის მშენებლობის სატიტულო სიებით, განმარტებითი ბარათებით და ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით 1939 წლის 10 აგვისტოსათვის;

ბ) განაცხადები ფონდირებულ ნედლეულზე, მასალებზე, მოწყობილობასა და სათბობზე 1940 წლისათვის, შედგენილი წარმოსადგენი გეგმების შესაბამისად 1939 წლის 20 აგვისტოსათვის.

2. დაევალოს ყველა საქალაქო საბჭოს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს წარადგინონ სათანადო სახალხო კომისარიატებში და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმები 1939 წლის 5 აგვისტოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ცეკავშირს წარადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში 1939 წლის 20 აგვისტოსათვის საქონელბრუნვის 1940 წლის გეგმები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო ორგანიზაციებსა და საწარმოებს წარადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში 1940 წლის გეგმების პირები, რომლებსაც ისინი საკავშირო სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს ურდგენენ უკანასკნელთა მიერ დაწესებულ ვადებში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების გეგმის პროექტი 1940 წლის მშენებლობის სატიტულო სიებით წარმოადგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში 1939 წლის 1 სექტემბრისათვის.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უძვირფასესი განძი ბოლშევიზმის მატიანეში

ამხანაგ ბერიას მოხსენება — უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში, იგი დეტალურად გვაცნობს ჟოფილი მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის უველაზედ უფრო ახლოგელი თანამოსაძმე, მისი უველაზედ უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერ-კავკასიის რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგი სტალინის უახლოეს მეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამჟღავნებს მუშათა კლასის უველა მტერს, უველა პოლიალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა.

„პრავდა“

ამხანაგი სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე.

ნახ. უ. ჯაფარიძისა.

ამხანაგი სტალინი საუბრობს ქართველ გლეხებთან. (1905 წ.)

ნახ. ა. ჭუთათელაძისა

სახელოვანი თარიღი

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდიან მშრომელები იმ ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად და შესასწავლად, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი სტალინი, რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი ეპოქა. მგზავრობა გორში, ბათუმში, თბილისში, ბაქოში ჩვენი ექსკურსანტების უველაზე საყვარელი მარშრუტი გახდა. სტალინურ ადგილებში მგზავრობა უოველი ადამიანისათვის აღფრთოვანებისა და შთაგონების დაუშრეტელი წყაროა.

ამხანაგ სტალინისა და მის თანამებრძოლთა მთელი ბრძოლა ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების უველა დარგის მუშაკებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს. ისინი დაუღალავად მუშაობენ ისტორიულ თემებზე. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ ბევრი მშვენივრად დაწერილი მხატვრული ნაწარმოები, კინო-სურათი, მხატვრების სურათები და სხვ.

ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, აშენდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შესანიშნავი შენობა, სადაც მოწყობილია ლენინის საუცხოო მუზეუმი. რესტავრირებულია საქართველოში უველა ისტორიული ადგილი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამხანაგი სტალინი. ისინი ამჟამად ბოლშევიზმის პროპაგანდის უძვირფასეს კერებს წარმოადგენენ.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ლენინ-სტალინის დიდი პარტიის გმირულ ისტორიას, როცა ასე გაიზარდა ხალისი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი, ამხანაგ ლ. ბერიას შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენს კადრებს.

ამ შრომის გამოსვლიდან ოთხი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული კადრების ამოცანაა კიდევ უფრო მეტი იმუშაონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დაუფლებისათვის, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის.

კიდევ უფრო დაუღალავად იმუშაონ თვითეული ბოლშევიკისათვის სავალდებულო მეცნიერების შესასწავლად, რადგან „პარტიის ისტორია გვასწავლის, რომ მუშათა კლასის პარტიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი კლასის ხელმძღვანელის როლი, არ შეუძლია შეასრულოს პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი, თუ იგი არ დაუფლებია მუშათა მოძრაობის მოწინავე თეორიას, თუ იგი არ დაუფლებია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გვ. 431).

ამ ამოცანის შესრულებაში ერთერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს ამხანაგ ლ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

გ. გოჩაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი.

ნარმაგებით შესრულებული ამოცანა

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ წარმოადგენს პირველ სერიოზულ მარქსისტულ შრომას ბოლშევიზმის ჩასახვისა და განვითარების შესახებ ამიერ-კავკასიაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსთან“ ერთად იგი დაუფასებელ სამსახურს უწევს ჩვენს ხალხს ლენინ-სტალინის პარტიის გმირული წარსულის შესწავლაში.

დიდი და წარმტაცი ისტორია აქვს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც შეიქმნენ და განმტკიცდნენ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“ (ლ. ბერია).

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია დიდხანს იყო დაუმუშავებელი და შეუსწავლელი. გარდა ამისა, ამ თემაზე მანამდე დაწერილი შრომები შეიცავდნენ მთელ რიგ პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომებს, ამახინჯებდნენ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, ეწეოდნენ პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციას.

ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობამ და ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლას და დამუშავებას და ამ საქმის შესრულება გადაუდებელ ამოცანად დასახეს.

ეს დიდი ამოცანა წარმატებით შეასრულა დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლმა, ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის შრომაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამხანაგმა ლ. ბერიამ აღნიშნულ შრომაში აღადგინა ისტორიული სინამდვილე, მარქსისტულად გაანშუქა ფაქტები და მოვლენები პარტიის ისტორიიდან და, ამხილა და გაანადგურა რა პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორები, მტკიცე ნიადაგზე დააყენა ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური პარტიის ისტორია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან.

ამხანაგ ლ. ბერიას შრომამ დიდი დახმარება გაუწია არა მარტო ჩვენს პარტიულ-კომკავშირულ კადრებსა და ისტორიკოსებს, არამედ მეცნიერების უველა დარგის მუშაკებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს. ისინი დაუღალავად მუშაობენ ისტორიულ თემებზე. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ ბევრი მშვენივრად დაწერილი მხატვრული ნაწარმოები, კინო-სურათი, მხატვრების სურათები და სხვ.

ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, აშენდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შესანიშნავი შენობა, სადაც მოწყობილია ლენინის საუცხოო მუზეუმი. რესტავრირებულია საქართველოში უველა ისტორიული ადგილი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამხანაგი სტალინი. ისინი ამჟამად ბოლშევიზმის პროპაგანდის უძვირფასეს კერებს წარმოადგენენ.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ლენინ-სტალინის დიდი პარტიის გმირულ ისტორიას, როცა ასე გაიზარდა ხალისი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი, ამხანაგ ლ. ბერიას შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენს კადრებს.

ამ შრომის გამოსვლიდან ოთხი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული კადრების ამოცანაა კიდევ უფრო მეტი იმუშაონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დაუფლებისათვის, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის.

კიდევ უფრო დაუღალავად იმუშაონ თვითეული ბოლშევიკისათვის სავალდებულო მეცნიერების შესასწავლად, რადგან „პარტიის ისტორია გვასწავლის, რომ მუშათა კლასის პარტიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი კლასის ხელმძღვანელის როლი, არ შეუძლია შეასრულოს პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი, თუ იგი არ დაუფლებია მუშათა მოძრაობის მოწინავე თეორიას, თუ იგი არ დაუფლებია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გვ. 431).

ამ ამოცანის შესრულებაში ერთერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს ამხანაგ ლ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

გ. გოჩაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი.



ამხანაგ ლ. ბ. ბერიას მოხსენება—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გამოშვებულია საბჭოთა კავშირის ხალხების 15 ენაზე. 40 გამოცემად 1.300.000 ეგზემპლიარის რაოდენობით.



დიადი იდეების შთამაგონებელი

საქართველოს საამაყო შვილმა, ჩვენი საბჭოთა დაზვერვის რკინის სახკომმა ამხ. ლავრენტი ბერიამ ამ ოთხი წლის წინათ ბოლშევიზმის ისტორიოგრაფიას შესძინა შესანიშნავი წიგნი.

ანთებული ჩირაღდანივით წაგვიძღვა იგი წინ და გაგვინათა გზა ბოლშევიზმის სახელოვანი წარსულის გასაცნობად და შესასწავლად. თუ მანამდე კანტი-კუნტად, ზოგჯერ მხოლოდ სავაზეთო წერილებით ეცნობოდა მასა ამიერ-კავკასიაში დიდი ბელადის დიდებულ მოღვაწეობას, ამხ. ბერიას წიგნმა ამიერიდან უტყუარი ნათელი მოჰფინა ისტორიის ამ მეტად საგულისხმო უბანს და მტკიცე დასაყრდენი მოგვცა.

უდავოა, რომ ეს წიგნი გვევლინება უველას განუშორებელ სახელმძღვანელოდ და აი, ხელოვნების მუშაკთათვისაც ამ წიგნს მიენიჭა დიდი გადამწყვეტი როლი.

ამ წიგნმა მისცა სტიმული ჩვენს მწერლობას შეექმნა ამ ბოლო ხანებში გამოჩენილი მშვენიერი ნაწარმოებები — პოემებისა, ლექსებისა, ნოველებისა და პიესების სახით.

მხატვრები აალაპარაკა მათი სანდობავებით ისე ძლიერად და ნაყოფიერად, როგორც არასოდეს. მან მისცა საშუალება ჩვენს მხატვრებს თავიანთი ოსტატობის სახელი განემტკიცებინათ მთელს კავშირში.

ჩვენს თეატრებს კიდევ შეეძღვნა დაუვიწყარი, ამაღელვებელი სპექტაკლები და ასე სულ.

მე პირადად ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამხ. ლავრენტი ბერიამ პირველად მოხსენების სახით წაიკითხა თბილისის პარტაქტივზე ეს ნაწარმოები, თავში გამიელვა, რომ ყარგი იქნებოდა ამის საფუძველზე დავწერო რაიმე მხატვრული ნაწარმოები, რომ მხატვრულადაც ასახულ იქნას ეს შესანიშნავი ხანა-მეთქი. მხოლოდ მაშინ ჯერ კიდევ არა შემნდა გარკვეული, თუ რომელ ჟანრს ავირჩევდი დასაწერად — ბელეტრისტულ რომელიმე ფორმას თუ დრამატურგიულს.

მაგრამ აი მოსკოვმა გამოაცხადა დრამატურგების დახურული კონკურსი, რომელშიაც მეც შემიყვანა პერსონალურად და მაშინ გადავწყვიტე პიესის დაწერა.

ამხ. ბერიამ გარდა თავისი წიგნისა დიდად შემიწყო ხელი პიესის დასამუშავებელ მომზადებაში. დამინიშნა ხელმძღვანელი კომისია, მაგრამ ესეც არ იკმარა და თვითონ უშუალოდ, პირადად მიიღო მონაწილეობა პიესის კითხვასა და ჩამოძერწვაში.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამხ. ბერიამ გამოიჩინა იშვიათი ცოდნა და დაკვირვება საერთოდ ხელოვნებისა და კერძოდ დრამატურგიული ოსტატობისა.

პირდაპირ გვანცვიფრებდა თავისი ლიტერატურული გამჭრიახობით, ზედმიწევნით მიგნებით და სწორი უტყუარი შენიშვნების მოცემით.

დაუვიწყარია ჩემთვის ამ მაღალგონიერისა და დიდად ნიჭიერი სახალხო მოღვაწის მეგობრული დახმარება. მან პირველმა შთამაგონა ქართულ პიესაში გამომეკვეთა დიდი სტალინის სახე.

როგორც უველა ხელოვანის საქართველოში,—დარწმუნებული ვარ — ისე ჩემი გულიც უდიდესი მადლობით არის აღსავსე ამ საუცხოო ადამიანისადმი.

შალვა დადიანი

ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

წიგნი გმირულ წარსულზე

ამხანაგ ლ. ბერიას შრომას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გაზ. „პრავდამ“ სამართლიანად უწოდა უძვირფასესი განძი ბოლშევიზმის მატიანეში.

ეს შრომა განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევს ჩვენ — პროპაგანდისტებს. პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირეული რგოლის წრეში, რომელსაც მე ვეკუთვნი, პარტიის ისტორიის სტალინურ სახელმძღვანელოსთან ერთად ვიყენებ ამ ძვირფას წიგნს. ის ამდიდრებს პარტიის ისტორიის ცოდნას, აძგერებს ცოცხალ, ახლოგელ ფაქტებითა და მოვლენებით. მაგალითად, „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველი თავის შესწავლის დროს გამოვიყენე შესაფერი ადგილები ამხანაგ ლ. ბერიას წიგნიდან ამიერ-კავკასიასა და საქართველოში „ლეგალური მარქსისტების“ და ეკონომისტების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის შესახებ.

წრის მსმენელები დიდ ინტერესს იჩენენ ამიერ-კავკასიაში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა-შესწავლისადმი. მსმენელთა წინადადებით ვაწყობთ ექსკურსიებს ლენინის მუზეუმისა და იმ ისტორიულ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც ამხანაგი სტალინი ამზადებდა, რაზმავდა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხანაგ ლ. ბერიას აღნიშნულმა შრომამ აღძრა მათში ეს ინტერესი. ისინი ახლა სიყვარულით სწავლობენ ამ წიგნს, რომელშიაც შესანიშნავად არის აღწერილი დიდი სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, აღწერილია ის, რომ რევოლუციურ მოძრაობას მისი ჩასახვიდანვე ამიერ-კავკასიაში სათავეში ედგა ჩვენი პარტიის ბელადი ამხანაგი სტალინი, რომელმაც შეჰქმნა და შეურიგებელ ბრძოლებში განამტკიცა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ამიტომ ამხანაგ ლ. ბერიას შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ თვითეული მშრომელის მაგიდის წიგნია.

ზ. მამალაძე

პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირეული რგოლის წრის პროპაგანდისტი „მკერავის“ მე-2 ფაბრიკაში.

პროპაგანდისტის საპატიო მოვალეობა

დიდი ხანია, რაც პროპაგანდისტად ვმუშაობ. ამ ოთხი წლის წინათ გამოქვეყნდა ამხანაგ ბერიას მოხსენება — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამხანაგ ბერიას წიგნის გამოსვლისთანავე დავეწაფე მის ღრმად შესწავლას; ეს შრომა წარმოადგენს ჩემთვის მაგიდის წიგნს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ უდიდეს ამოცანებს უსახავს თვითეულ პროპაგანდისტს. პროპაგანდისტად მუშაობა მეტად საპატიო მოვალეობაა. საჭიროა პროპაგანდისტს ჰქონდეს მეტად დიდი გამოცდილება და ცოდნა.

ვპელმძღვანელობ კადრების ძირეული რგოლის წრეს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ჩემს წინაშე მთელი სერიოზულობით დაისვა ის ამოცანა, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად გარდამექნა წრის მუშაობა.

როდესაც პროპაგანდისტი მსმენელებს უხსნის ლენინის ბრძოლას „ლეგალურ მარქსისტებთან“, ეკონომისტებთან, ლენინის ბრძოლას ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის, მეორე ყრილობის მოწვევის ამბავს, ყრილობის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, ლენინის მოღვაწეობას მესამე ყრილობის მოწვევისათვის და ა. შ., მან არ შეიძლება გვერდი აუაროს ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების ამ პერიოდის ბრძოლასა და მოღვაწეობას ამიერ-კავკასიაში. ეს ორი მომენტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

აღნიშნული საკითხის გაშუქებაში დაუფასებელია ამხ. ლ. ბერიას ნაშრომი, სადაც გენიალურად მოცემულია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია.

უველასათვის ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების ძირითად მეთოდს წარმოადგენს წიგნზე ინდივიდუალური მუშაობა. წიგნზე ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგებს უდიდეს დახმარებას უწევს ამხ. ბერიას აღნიშნული წიგნი; პირადად მე პარტიის ისტორიის ცალკეული თავების შესწავლისას ფართოდ ვიყენებ ამხანაგ ბერიას შრომას, რაც აღრმავებს და აფართოვებს ჩემს ცოდნას.

ა. თოფურია

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისტი.

ბოლშევიზმის ისტორიის საუნჯე

1935 წლის 21-22 ივლისს თბილისის პარტაქტივის კრებაზე ვრცელი, ღრმა შინაარსიანი, ისტორიული მნიშვნელობის მოხსენებით გამოვიდა სტალინის საუკეთესო მოწაფე, ქართველი ხალხის საამაყო შვილი, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისა და გამარჯვების ორგანიზატორი ამხანაგი ლ. პ. ბერია. ამხანაგი ლ. პ. ბერიას მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გამოიცა წიგნად როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, ისე უცხო ენებზედაც და ელვის სისწრაფით გავრცელდა მასებში.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის გამოსვლამ და მისმა შესწავლამ გამოიწვია ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და შემოქმედების აღმავლობა. წიგნის საფუძველზე გაშალეს მუშაობა საბჭოთა მწერლებმა და მოგვცეს უაღრესად მნიშვნელოვანი პიესები, რომელთა შორის აღსანიშნავია ორდენოსან შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“ და გ. ნახუცრიშვილის პიესა დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის ლადო კეცხოველის შესახებ.

ამხანაგ ლ. ბერიას უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო მარქსიზმ - ლენინიზმის მძლავრი კერა — ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, სადაც წარმოდგენილია მდიდარი მასალები მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. აგრეთვე რესტავრირებულია ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების ოთხი წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნება გამოფენა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება უძვირფასესი დოკუმენტები: დიდი სტალინის თეორიული შრომები, დედნები პროკლამაციებისა, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდნენ როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე რუსეთში. იქვე ბეჭდულია უაღრესად საინტერესო რუკები, რომლებიც დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. პირველი რუკა ასახავს ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას 1894-1910 წ. წ.

მეორე რუკაზე მოცემულია ქალაქები, დაბები და სოფლები საქართველოში, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ი. ბ. სტალინი (1879-1912 წ. წ.).

მესამე რუკაზე შესანიშნავადაა მოცემული ი. ბ. სტალინის დაპატიმრებათა, გადასახლებათა და გამოქცევათა თარიღები და ადგილები (1902-1917 წ. წ.).

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის საფუძველზე მარქს - ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა შესძლო მრავალი წიგნისა და ბროშურის გამოცემა, რომელთა შორის აღსანიშნავია „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წ.“, „ლადო კეცხოველი“ და სხვ. წიგნის მიხედვით შესაძლებელი შეიქნა სტალინის სახლის გახსნა გორში, ობელისკებისა და მემორიალური დაფების დადგმა ისტორიულ ადგილებზე თბილისში, ჭიათურაში, ბათუმში.

ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს ამხანაგ ლ. ბერიას წიგნმა მისცა შემოქმედებითი მუშაობის მძლავრი იარაღი. ახალგაზრდა მკვლევარებმა შესძლეს თბილისის სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოპოვება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა და გამოიცა. მისი პოპულარობის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ რუსულ ენაზე არსებობს ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომის „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 15 გამოცემა. ქართულ ენაზე — 4 გამოცემა, უკრაინულზე — 4, აზერბაიჯანულ ენაზე — 3 და ა. შ. საერთო ტირაჟი უდრის 1.300.000 ეგზემპლარს.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ პარტიის ისტორიის სტალინურ სახელმძღვანელოსთან ერთად ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზით აშუქებს ბოლშევიზმის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირულ ისტორიას და მთელ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც „მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“ (ბერია).

ი. მელქაძე

ᲙᲝᲛᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲙᲝᲛᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲝᲕᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ 1939 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ 1939 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ᲙᲝᲛᲙᲐᲨᲘᲠᲘ, ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲔᲞᲐᲜᲔ, №28.

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲙᲝᲛᲙᲐᲨᲘᲠᲘ, 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲒᲐᲜᲪ.). ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.